პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 227 (3711)

1968 წ. 20 ნოემბერი, ოთხშაბათი. ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.

## ფიდე-ს ახალი გადაწყვეტილება

როგორც ცნობილია, XIX საჭადრაკო ოლიმპიადის დღეებში ლუგანოში იმუშავა ფიდე-ს 36-ე კონგრესმა, რომელმაც სხვა საკითხებთან ერთად განიხილა წინადადებები მსოფლიო პირველობის მოწყობის ახალ სისტემათა შესახებ.

თუ ვაჟთა პირველობის სისტემა (პრეტენდენტთა მატჩები) ძალაში დარჩა, სამაგიეროდ შეიცვალა ქალთა მსოფლიო პირველობის გამართვის წესი.

ამიერიდან, ქალთა მსოფლიო პირველობის შესარჩევი ტურნირები სამ ეტაპად ჩატარდება: პირველი — ზონალური ტურნირები, მეორე — საზონათშორისო ტურნირი, მესამე — პრეტენდენტთა მატჩები.

ბოლო ეტაპში, პრეტენდენტთა მატჩებში, მონაწილეობას მიიღებს ნ. გაფრინდაშვილ — ა. კუშნირის მატჩში დამარცხებული და საზონათშორისო ტურნირის პირველი 3 პრიზიორი. ჯერ შედგება ორი ნახევარფინალური მატჩი და თვითეულში 10 პარტია გათამაშდება. გამარჯვებულები შეხვდებიან ერთმანეთს ფინალურ მატჩში, სადაც 12 პარტია შედგება. აქ გამარჯვებული ეთამაშება მსოფლიო ჩემპიონს. ამ მატჩში კი, როგორც ადრე, 16 პარტია უნდა გათამაშდეს.

ამ ახალი წესის შემოღება იმან გამოიწვია, რომ მსოფლიოში ძლიერ მოჭადრაკე ქალთა რიცხვმა იმატა.

# ქარსელაძის მემორიალის პერიპეტიები

გორში, ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის კლუბში გრძელდება ცნობილი ქართველი მწვრთნელის ვ. ქარსელაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საჭადრაკო ტურნირი. ვაქვეყნებთ ამ მემორიალის მთავარი მსაჯის **თ. გიორგაძის** ჩანაწერებს.

### გორელი გულშემატკივარი

თავიდანვე უნდა გაგაფრთხილოთ: გორელი გულშემატკივარი ისეთივე ტრფიალია ჭადრაკისა, როგორიც თბილისელი, თელაველი, ზუგდიდელი... მაგრამ იგი არ არის განებივრებული დიდი მოჭადრაკეების სტუმრობით. ალბათ ამიტომაც მემორიალის სტარტზე გორელები დაუფარავი აღელვებით ხვდებოდნენ დიდოსტატთა ყოველ სვლას. იყო შემთხვევა, როცა დიდოსტატმა მ. ტალმა გორში, ისე როგორც თბილისში, ბელგრადში, ციურიხში, თვითეული სვლისთვის მაყურებლებს ტაში მოსტაცა.

როცა პედინსტიტუტის კლუბს სასპარეზოდ ვაწყობდით, განსაკუთრებული მონდომებით პრორექტორი ა. სომხიშვილი გვეხმარებოდა. მის სახეზე მუდამ დიდ კმაყოფილებას ამოიკითხავდით. როცა შემთხვევით სომხიშვილის კაბინეტში აღმოვჩნდი, მივხვდი: მარტო მოვალეობა როდი უკარნახებდა ჩვენს ხელშეწყობას.

— ეს საჩუქრად მივიღე დებრეცენში. როცა უნგრეთში ჩავედი საბჭოთა კომკავშირელთა დელეგაციის წევრად, — მიპასუხა ა. სომხიშვილმა, როცა ვკითხე, საიდან მოხვდა მასთან საგანგებოდ გამოჩარხული ჭადრაკის ვეებერთელა მხედარი. — როგორც დელეგაციის ჩემპიონს, პაექრობა მომიწია და გავიმარჯვე.

საუბარში ისიც შევიტყვე, რომ პრორექტორს საქართველოს პირველობის ნახევარფინალშიც უთამაშია და პირველი თანრიგი იქ დაუმტკიცებია.

ჭადრაკის გულშემატკივარი გორში ბევრია.

— ქარსელაძის მემორიალი ჩვენთვის დიდი დღესასწაულია. ამიტომაც არ არის ტევა დარბაზში, — ამბობს მემორიალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, გორის აღმასკომის თავმჯდომარე ვ. ხინჩიკაშვილი, რომელსაც ხშირად შეხვდებით ტურნირზე.

გორელი გულშემატკივარი კმაყოფილია. მაშასადამე, სწორი იყო ჭადრაკის ფედერაცია, როცა მემორიალი ქართლის ამ უძველეს ქალაქში დანიშნა.

### ტალი დანებდა

მემორიალის პირველ დღეს, იმის გამო, რომ დიდოსტატებმა ე. გელერმა და ე. გუფელდმა დააგვიანეს ჩამოსვლა, მონაწილენი თავისუფალი აღმოჩნდნენ. გაიმართა ტურნირი ელვისებურ თამაშში. სტარტზე 14 მოჭადრაკე გამოვიდა. ყველას რ. ჯინჯიხაშვილმა აჯობა. მეორე იყო მ. ტალი.

— ყოჩაღ ალიკ. შენ რომ დიდოსტატისთვის არ მოგეგო, მე პირველი ვერ ვიქნებოდი, — ეუბნებოდა ბოკუჩავას გამარჯვებით კმაყოფილი ჯინჯიხაშვილი.

ბოკუჩავა მორიდებით იღიმებოდა.

მეორე დღეს ტალი და ბოკუჩავა კვლავ მიუსხდნენ მაგიდას. ამჯერად მემორიალის I ტურის პარტია უნდა ეთამაშათ. ტალი ალბათ რევანშზე ფიქრობდა, როცა თავიდანვე შეუტია ახალგაზრდა მეტოქეს.

**ტალი — ბოკუჩავა**

**სიცილიური დაცვა**

**1. მf3 c5 2. e4 d6 3. d4 cd 4. მ:d4 მf6 5. მc3 მc6 6. კc4 e6 7. კe3a6 8. კb3 მa5 9. 0—0 b5 10. ლd3 ლd7 11. კg5 კb7 12. f4 მ:b3 13. ab b4 14. მa4 კ:e4 15. ლe2 ლb7 16. f5e5 17. c4 bc 18. კ:f6 cb 19. მ:b2 gf 20. მf3 d5 21. მd2 კc5+ 22. მფh1 0—0 23. ეa4 კd4 24. მbc4 ლc6 25. მ:e4 de 26. მd2 e3 27. ეc4 ლb7 28. ლg4+ მფh8 29. ლh4 ეg8 30. ლ:f6+ ეg7 31. მf3 e2 32. ეfc1 ეag8 33. ეc7 ლb6 34. ე7c6 ლd8 35. ლ:d8 ე:d8 36. მe1 კb2 37. ე1c2 ეd1 38. ე:e2 ეg8 39. g3 ეb8 40. ე:a6.**

— აქ ყაიმის შეთავაზება მინდოდა, — მითხრა პარტიის შემდეგ ტალმა, მაგრამ ცაიტნოტში სწრაფად გავიფიქრე 40. ... ე:b3-ს მერე ვეტყვი-მეთქი. ფიგურის წაგება ვერ დავინახე.

40. ... კc3 41. მფg2 ე:e1 42. ე:e1 კ:e1 43. მფf3 h6.

ცაიტნოტში მეტოქეებმა კიდევ რამდენიმე სვლა გააკეთეს და ტალი დანებდა.

— ბოკუჩავა ქების ღირსია. მან კარგად ითამაშა მთელი პარტია. 1961 წლის შემდეგ პირველად წავაგე თეთრებით სიცილიური დაცვა. — თქვა რიგელმა დიდოსტატმა.



**ს უ რ ა თ ზ ე:** მ. ტალი თვალს ადევნებს ე. გუფელდისა (მარცხნივ) და ზ. მიქაძის პარტიას.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## 5 ტურის შემდეგ

მეხუთე ტურში მ. ტალმა დაამარცხა ბ. გურგენიძე, ე. გუფელდმა — გ. მუკნიაშვილი, ი. ჩიქოვანნ. გაფრინდაშვილისა და ზ. მიქაძელ. გრიგორიანის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

ხუთი ტურის შემდეგ ლიდერობენ ნ. გაფრინდაშვილი და ბ. გურგენიძე, რომლებსაც 3-3 ქულა აქვთ.



ნოვოსიბირსკთან ახლოს მდებარე აკადემიის ქალაქში სპეციალურ შენობაში შეიქმნა ბავშვთა საფარიკაო კლუბი „ვიქტორია". აქ 7-დან 15 წლამდე ასაკის 300 ბიჭი და გოგონა მეცადინეობს ოსტატების ხელმძღვანელობით. ფარიკაობის გარდა ნორჩი ციმბირელები მუშკეტერთა კლუბში სწავლობენ ცურვას, თამაშობენ ფრენბურთს, კალათბურთს, სრიალებენ ციგურებითა და თხილამურებით. ბავშვებს უტარებენ ფრანგული ენის გაკვეთილებს, უკითხავენ ლექციების კურსს რუსული და საბჭოთა იარაღის, თეატრის, მუსიკის, ფერწერისა და ლიტერატურის ისტორიიდან.

**ს უ რ ა თ ზ ე:** კლუბ „ვიქტორიას" ნორჩი მოფარიკავეები.

ფოტო ა. ჟიგაილოვისა (ტას-ი).

---

◆ **ბუქარესტი,** 19 ნოემბერი. რუმინეთის ხელბურთელთა ნაკრებმა გუნდმა კვლავ მოიგო „რუმინეთის თასზე" შეჯიბრება. უკანასკნელი მატჩი მასპინძლებმა ფრედ ითამაშეს იუგოსლაველებთან და 9 ქულით თასის მფლობელები გახდნენ. მესამე ადგილი დაიკავა რუმინეთის ახალგაზრდულმა ნაკრებმა, მეოთხე — თბილისის „ბურევესტნიკმა", რომელმაც ბოლო მატჩი წააგო უნგრეთის ნაკრებთან— 18:26.

◆ **ლონდონი,** 19 ნოემბერი. **400 მეტრზე თარჯრბენში ოლიმპიური ჩემპიონი დ. ჰემერი დასახელებულია დიდი ბრიტანეთის 1968 წლის საუკეთესო სპორტსმენად.**

◆ **პარიზი, 19 ნოემბერი.** ცურვის ევროპულმა ლიგამ გადაწყვიტა გაისად აგვისტოში ჩაატაროს შეჯიბრება კონტინენტის თასზე. ასპარეზობა გაიმართება 3 ჯგუფად. პირველში გამოვლენ სსრ კავშირის, ინგლისის, გდრ-ის, გფრ-ის, შვეციის, ჰოლანდიის, უნგრეთისა და საფრანგეთის სპორტსმენები.

◆ **ბერლინი,** 19 ნოემბერი. **სახელგანთქმული გერმანელი დიდოსტატის ე. ლასკერის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ტურნირში 8 ტურის შემდეგ ლიდერობენ საბჭოთა დიდოსტატები დ. ბრონშტეინი, ა. სუეტინი და კუბელი ოსტატი რ. ორტეგა. თვითეულს 1,5 ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ.**

---

## ტელევიზიით გადასცეს

ამას წინათ ნალჩიკში გაიმართა საქალაქთაშორისო შეხვედრა რეგბიში. ამ ტურნირში ადგილობრივი „სპარტაკის" მიწვევით თამაშობდა თბილისის წლევანდელი ჩემპიონი — პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი. მატჩი თავიდანვე სტუმრების უპირატესობით დაიწყო და მე-8 წუთზე ნიკოლაძემ საჯარიმოთი გახსნა ანგარიში. შესვენებამდე ძამაშვილმა კარგად დაამთავრა თანაგუნდელთა კომბინაცია და ანგარიში გახდა 6:0.

მეორე ნახევარში მასპინძლები გააქტიურდნენ. ნალჩიკელმა ლობჟანიძემ (თბილისში სწავლის პერიოდში იგი ჩვენი დედაქალაქის „ლოკომოტივში" თამაშობდა), შემდეგ კი იბრაჰიმოვმა ანგარიში გაათანაბრეს, მაგრამ ეს იყო მასპინძელთა ბოლო წარმატება. დარჩენილ დროში სტუმრებმა ხელთ იგდეს უპირატესობა და გაიმარჯვეს — 14:9.

კარგად ორგანიზებული მატჩი ჩრდილო კავკასიის ტელევიზიით გადასცეს.

თბილისელები თამაშობდნენ ასეთი შემადგენლობით: ჭიჭინაძე, თაქთაქიშვილი, თუშიშვილი, ძამაშვილი, ტატიშვილი, გვალია, გვენეტაძე, ბერძენიშვილი, ნიკოლაძე, მირზიაშვილი, მჭედლიშვილი (მამისაშვილი), უკლება, ფირცხალაიშვილი, ბახტაძე და ლიჩელი.

**დ. თაქთაქიშვილი.**






მეხიკოს XIX ოლიმპიურ თამაშებზე მოგვითხრობენ ჩვენი სპეციალური კორესპონდენტები **ნ. გუგუშვილი და მ. ზარგარიანი**

# ტრადიციის გამგრძელებელი

XIX ოლიმპიური თამაშების წინ ჟურნალმა „სმენამ“ საინტერესო ოლიმპიური პროგნოზები დაბეჭდა. წინასწარმეტყველება სპორტში საერთოდ მაცდური და მერყევი საქმეა, მაგრამ „სმენის“ პროგნოზები იმითაა საყურადღებო, რომ მის შედგენაში მონაწილეობდა ჩვენი სპორტის თითქმის ყველა ცნობილი სპეციალისტი. ამდენად, ეს პროგნოზები საქმეში ჩახედულთა მტკიცე აზრსა და რწმენას გამოხატავდა.

ვინაიდან ჩვენი დღევანდელი საუბრის თემას კლასიკური სტილის მოჭიდავეთა ოლიმპიური ტურნირი წარმოადგენს, მოდით, გავეცნოთ ერთის მხრივ სპეციალისტთა ოლიმპიადამდელ აზრს, მეორეს მხრივ კი სინამდვილეს. ვნახოთ, რამდენად ზუსტი და უშეცდომო გამოდგა წინასწარმეტყველება, ან როგორ დაშორდა იგი რეალობას. მაშ ასე, თქვენს წინაა პრიზიორთა ორი ვარიანტი.

| პროგნოზი | სინამდვილე |
|---|---|
| **უმძიმესი** | **უმძიმესი** |
| 1. ალკერი (უნგრეთი) | 1. კიროვი (ბულგარეთი) |
| 2. ბაკულინი (სსრ კავშირი) | 2. ბაკულინი (სსრ კავშირი) |
| 3. კიროვი (ბულგარეთი) | 3. ზემანი (ჩეხოსლოვაკია) |
| **მძიმე** | **მძიმე** |
| 1. ვარგა (უნგრეთი) | 1. ვარგა (უნგრეთი) |
| 2. ბაჩუ (რუმინეთი) | 2. ბაჩუ (რუმინეთი) |
| 3. ტრაიკოვი (ბულგარეთი) | 3. კოჩერგინი (სსრ კავშირი) |
| **ქვემსუბუქი** | **ქვემსუბუქი** |
| 1. პოპესკუ (რუმინეთი) | 1. რურუა (სსრ კავშირი) |
| 2. რურუა (სსრ კავშირი) | 2. ფუძიმოტო (იაპონია) |
| 3. ფუძიმოტო (იაპონია) | 3. პოპესკუ (რუმინეთი) |
| **მსუბუქი** | **მსუბუქი** |
| 1. ფეხლევანი (თურქეთი) | 1. მუნემურა (იაპონია) |
| 2. საპუნოვი (სსრ კავშირი) | 2. ხორვატი (იუგოსლავია) |
| 3. ხორვატი (იუგოსლავია) | 3. გალაქტოპულოსი (საბერძ.). |
| **ქვესაშუალო** | **ქვესაშუალო** |
| 1. ვესპერი (გდრ) | 1. ვესპერი (გდრ) |
| 2. იგუმნოვი (სსრ კავშირი) | 2. რობენი (საფრანგეთი) |
| 3. აჯარი (თურქეთი) | 3. ბაიკო (უნგრეთი) |

**პროგნოზი**

**საშუალო**

1. ბლიაძე (სსრ კავშირი)
2. ხილაი (უნგრეთი)
3. ცინცაროვი (ბულგარეთი)

**ქვემძიმე**

1. კიში (უნგრეთი)
2. მარტინესკუ (რუმინეთი)
3. რადევი (ბულგარეთი)

**მძიმე**

1. კმენტი (ჩეხოსლოვაკია)
2. კოზმა (უნგრეთი)
3. როშჩინი (სსრ კავშირი)

მეხიკოში ამ პროგნოზების ერთ-ერთმა ავტორმა იხუმრა პრიზიორთა გვარები „სმენას“ ანბანის მიხედვით აქვს დალაგებულიო. იყოს თუნდაც ასე, ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარი ისაა, და ამას თქვენ კარგად ხედავთ, რომ პროგნოზები მეტწილად გამართლდა და სავარაუდო პრიზიორებმა მათთვის განკუთვნილი ადგილები დაიკავეს გამარჯვებულთა სიაში.

და მაინც, ვერც ერთი პროგნოზი, ვერც ერთი უზუსტესი მანქანა ვერ ასახავდა ჩვენი სახელოვანი ფალავნის რომან რურუას უპირატესობას მეტოქეებზე ისე, როგორც ეს სინამდვილეში იყო. რურუას ჩვენში, როგორც ნახეთ, ოქროს ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად მიიჩნევდნენ. მისი გამარჯვება არც უცხოელებს ეეჭვებოდათ, მაგრამ ოლიმპიურ თამაშებს უყვარს სიურპრიზები და ჩვენც ჩვენს







ეროვნული ბიბლიოთეკა



...ძვილლე
...ალოუ
...)
...(სსრ კავშირი)
...გოსლავია)
...ᲛᲝᲛᲫᲘᲛᲔ
...ულგარეთი)
...(სსრ კავშირი)
... (რუმინეთი)
...ᲛᲔ
...გრეთი)
...(სსრ კავშირი)
...ჩეხოსლოვაკია)

...ტეგორიულ ხასიათს
...ოფილაქტიკის მი-
...ვდით.
... რომ ჩემპიონატის
...თა ფალავნებისთ-
...არბიელო აღმოჩნ-
...ისშივე გამოეთიშა
...ოლას ქვესაშუალო
...ი ფავორიტი იგუ-
... მოგვიანებით მის
...ოფლიოს არაერთ-
... საპუნოვი. ბეწვზე
... ვერცხლის მედა-
... ათლეტთან წაგე-
... მან ბოლო წამზე
...ლოდ დაამთავრა
...მის გამო). დასანა-
...ა ფინალში ჩვენმა
...რიამ", მუდამ მომ-
...მა, იგი ერთი ქუ-
...დამწყვეტ შეხვედ-
...ზმასთან (რაც რო-
...ოს მედლის ტოლ-
...ამ მოულოდნელად,

სრულიად უხიფათო სიტუაციაში ქულა დაუთმო მეტოქეს (უნგრელს ფრეც ხელს აძლევდა).

ასეთ დაძაბულ სიტუაციაში ერთადერთი ნათელი შტრიხი ჩვენს გუნდში იყო რომანი, თავისი მხიარული განწყობით და მტკიცე რწმენით. რურუას ყოველი წარმატება, ლამაზი გამარჯვება დამამშვიდებლად მოქმედებდა ჩვენზეც, ოდნავ დაბნეულ და უხასიათო გუნებაზე მყოფ მწვრთნელებზეც, ყველაზე მეტად კი მოჭიდავეებზე, რომლებმაც სხვებზე უკეთ იცოდნენ, რომ გუნდში ოქროს ერთადერთ რეალურ პრეტენდენტად რომანი რჩებოდა.

ოთხი წლის წინ ტოკიოში რურუას თვალსა და ხელს შუა აართვეს ოქროს მედალი უნგრელი პოიაკის სასარგებლოდ. მაშინ მას ანუგეშებდნენ: პოიაკი ვეტერანია, ოლიმპიადებში უკანასკნელად გამოდის, შენ კი მომავალი და ოლიმპიური ჯილდოები წინ გიძევსო. რურუამ ჯენტლმენური თავდაჭერილობით მიიღო ეს არც თუ სარწმუნო საბუთი და თავისი გეგმები ოთხი წლით გადადო.

მეხიკოში დაყოვნებას იგი აღარ აპირებდა და თავისი მტკიცე განზრახვა სტარტზე ოთხი წმინდა გამარჯვებით დაასაბუთა. ასეთმა ულტიმატუმმა ალბათ გუნება გაუფუჭა მორიგ ვეტერანს, რომელიც რომანის ხარჯზე აპირებდა ბენეფისის გადახდას.

ერთი სიტყვით, რურუა ულმობელი გახლდათ სტარტზეც, როცა ის-ის იყო, იკვეთებოდა ბრძოლის კონტურები, და მაშინაც, როცა ბრძოლის ბედი უკვე ეჭვს აღარ იწვევდა. იგი მხოლოდ ბოლო შეხვედრაში (იაპონელ ფუძიმოტოსთან) მოლბა და ფრეს დასჯერდა, რადგან ასეთი შედეგიც ხელს აძლევდა და კიდევ იმიტომ, რომ დაჰყვა უკვე საბოლოოდ შეშფოთებულ მწვრთნელთა ნება-სურვილს (არ გარისკო! ზედმეტი არ მოგივიდეს, ეს ოქროს მედალიც არ დაიკარგოს და ა. შ.).

რომანი არც პირველია და არც უკანასკნელი. უბრალოდ, იგი ღირსეულად აგრძელებს სახელოვანი ქართველი ფალავნების ტრადიციას, ფალავნებისას, რომლებმაც თავიანთი სახელები ოქროს ასოებით ამოკვეთეს მსოფლიო სპორტის ისტორიაში.

* * *

კინოგრამაზე უკეთ ვერაფერი ალბეჭდავს მომენტის დაძაბულობასა და დრამატიზმს. სურათებზე თქვენ ხედავთ იუგოსლაველ დამიანოვიჩთან ბრძოლის ბოლო ფრაგმენტს, რომელსაც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ „აღსასრული".

მძინვარე და დაუნდობელი იყო ჩემპიონი ბრძოლის დღეებში (ზედა მარცხენა სურათი), მხიარული და გულღია (ზედა მარჯვენა სურათი) კი—ბრძოლის შემდეგ გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე. მექსიკური სომბრერო და ოლიმპიური ნამცხვარი — ჩემპიონთა ტრადიციული საჩუქარი — რომანს ოლიმპიადის დახურვის დღეს გადაეცა (მარჯვენა სურათი).









ემზადებიან პროფკავშირთა სპარტაკიადებისთვის

# წარმატების იმედიც აქვთ

1961 წლის 29 ნოემბერს გაზეთი „ლელო“ იუწყებოდა: ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაში მრავალი წლის მანძილზე ნაყოფიერი მუშაობისთვის ქალაქის ტრანსპორტის სამმართველოს ფიზკულტურულ კოლექტივს მიენიჭა სპორტული კლუბის სახელი. კლუბს დაერქვა „სინათლე“.

რესპუბლიკის სპორტის მოყვარულებმა ასე გაიცნეს ეს შრომისმოყვარე კოლექტივი. წარმატება კი, რომელსაც ტრანსპორტელებმა მიაღწიეს, იოლი გზით არ მოსულა.

ფართო, ნათელ ოთახში, რომელიც მუზეუმად გადაუქცევიათ, ასახულია განვლილი წლების სპორტული მიღწევები. კედლებზე გაკრული პორტრეტებიდან სპორტსმენთა ნაცნობი სახეები იცქირებიან, მათ ბევრჯერ უსახელებიათ არა მარტო თავიანთი სპორტული კლუბი, არამედ რესპუბლიკის სახელიც დაუცავთ საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში. „სინათლეს“ წლეულსაც „პირადი ანგარიში“ ჰქონდა გახსნილი მეხიკოში: კლუბის წევრები ლ. იევლევა და ზ. ბერიაშვილი საბჭოთა სპორტის ღირსებას იცავდნენ XIX ოლიმპიადაზე.

კლუბის სპორტულ დარბაზებში და მოედნებზე ხალხი ფუსფუსებს. ესენი მწვრთნელები და მათი აღსაზრდელები არიან, რომლებიც ყოველდღიური განრიგის მიხედვით მეცადინეობენ. ახლა ისინი გულმოდგინედ ემზადებიან პროფკავშირთა რესპუბლიკური და საკავშირო სპარტაკიადებისთვის. სწორედ 1969 წლის ამ დიდი ღონისძიებისთვის მზადების შესახებ ვესაუბრეთ სპორტკლუბის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეს ა. მირზოევს.

—პროფკავშირთა სპარტაკიადებში საკლუბო გუნდები გამოდიან სპორტის ხუთ სახეობაში: ტანვარჯიშში, მძლეოსნობაში, ძალოსნობაში, ცურვასა და ველოსპორტში (საგზატკეცილო). ჩვენ განზრახული გვაქვს პირველ სამ სახეობაში ვცადოთ ძალა. ბოლო ორ სახეობაში ჩვენი გუნდები კარგად არ არიან მომზადებული და არც გამარჯვების იმედი გვაქვს.

რა გვიშლის ხელს? პირველ ყოვლისა ის, რომ მოცურავეებს არა აქვთ ბაზა ყოველდღიურად სავარჯიშოდ. მართალია, სპორტსაზოგადოება „სპარტაკს“ წლეულს ორთაჭალაში გადაეცა აუზი და, რა თქმა უნდა, ეს ჩვენც დიდად დაგვეხმარება, მაგრამ გაცილებით უკეთეს შედეგს მივიღებთ, თუ ჩვენს სპორტულ ნაგებობათა კომპლექსს საკუთარი საცურაო ბაზა შეემატება. ადგილი უკვე შერჩეული გვაქვს. ეს საკითხი ზემდგომ ორგანოებშიც დავსვით, მაგრამ საქმე რატომღაც გაჭიანურდა. ნებართვაა საჭირო, თორემ საქმე ჩვენზე იყოს. ჩვენი სპორტული კოლექტივი ისეთი ენთუზიაზმით შეუტევს მშენებლობას, სულ მალე ჩავაყენებთ მწყობრში აუზს.

ველოსიპედისტებს ზამთრის პერიოდში სავარჯიშოდ დახურული დარბაზი არ ჰქონდათ, ველონაწილებიც გვაკლდა და ეს საგრძნობლად აფერხებდა რეგულარულ წვრთნას მთელი წლის განმავლობაში. ახლო მომავალში ამ დაბრკოლებასაც დავძლევთ. ველოსიპედისტები სთვის უკვე გამოყოფილია დარბაზი და სათადარიგო ინვენტარსაც მალე მიიღებენ.

დანარჩენ სამ სახეობაში გუნდები უკვე დაკომპლექტებულია. ძალოსნები რეგულარულ ვარჯიშს შეუდგნენ. მძლეოსნებს ამეცადინებს წარსულში რესპუბლიკის ცნობილი სპორტსმენი, სპორტის ოსტატი ე. ლომთაძე. ასევე ითქმის ტანმოვარჯიშეებზე. ჩვენს გუნდში ხომ საქართველოს ნაკრების წევრებიც არიან. ისინი ინტენსიურად ვარჯიშობენ და ემზადებიან დიდი ღონისძიებისთვის.

მირზოევის ნათქვამს ჩვენც დავუმატებთ ორიოდე სიტყვას: სპორტკლუბ „სინათლის“ ტანმოვარჯიშეებს კარგი ტრადიცია აქვთ და ალბათ არც მომავალ სპარტაკიადებში შეირცხვენენ თავს, მაგრამ ტრადიციის შენარჩუნებისთვის რეზერვია საჭირო, აუცილებელია აქვე გაიხსნას ბავშვთა სპორტული სკოლა, სადაც 4-6 ჯგუფი მაინც იმეცადინებს. ამჟამად მოქმედი ორიოდე ჯგუფით (მწვრთნელი გ. გელაძე) საიმედო ცვლის მომზადება არ შეიძლება. ტანვარჯიშის დარბაზში სპორტული იარაღების სიმცირეც იგრძნობა. არსებული ინვენტარი ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე ტანვარჯიშის მოთხოვნებს.

კარგად მუშაობს ბავშვთა მძლეოსნური ჯგუფი, რომელსაც სათავეში უდგას წარსულში ცნობილი მძლეოსანი, სპორტის დამსახურებული ოსტატი დ. იოსელიანი. მწვრთნელი ცოდნასა და ენერგიას არ იშურებს საიმისოდ, რომ ტრანსპორტელებს მომავალშიც „სპორტის დედოფლის“ კარგი გვარდია ჰყავდეთ.

კოლექტივის მუშაობაში ჯერჯერობით ხარვეზებიც არის, მაგრამ, როგორც გვითხრეს, ნაკლოვანებათა გამოსწორებისთვის იბრძვიან და ალბათ მიზანსაც მიაღწევენ. ამის თავდებია ის ერთსულოვანი და კარგი დამოკიდებულება, რაც იგრძნობა სპორტსმენებს, მწვრთნელებს, კლუბის გამგეობასა და ფიზკულტურულ აქტივს შორის. კლუბის გამგეობის თავმჯდომარე, სამმართველოს უფროსი მ. ჩიკვაიძე ფიზკულტურული საქმის დიდი ენთუზიასტი და ენერგიული ხელმძღვანელია.

ფიზკულტურელ ებმა ერთი გულისტკივილი გამოთქვეს:

— ფიზკულტურის კოლექტივებისთვის საკავშირო სპარტაკიადები სპორტის მხოლოდ 5 სახეობაში ტარდება. ისეთი მასობრივი სახეობები კი, როგორიცაა კალათბურთი, ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი და სხვა, ჩრდილში რჩება. ეს ხელოვნურად ამუხრუჭებს ამ სახეობათა განვითარებას. „სპარტაკის“ წლევანდელმა საკავშირო შეჯიბრებამ ამ საქმეში ერთგვარი გამოცოცხლება შეიტანა. საჭიროა სპორტის სხვა სახეობებიც გავიდეს საკავშირო სპარტაკიადის სარბიელზე.

ნინო ხარებავა.

## გარდაბნელთა პირობა

გარდაბნის რაიონის ფიზკულტურულმა კოლექტივებმა ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულეს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმა-ვალდებულება. გეგმით გათვალისწინებული 2 სპორტის ოსტატისა და 9 პირველთანრიგოსნის ნაცვლად მომზადდა 4 ოსტატი და 13 პირველთანრიგოსანი. II თანრიგის ნორმატივი 145-ის მაგიერ შეასრულა 186 ფიზკულტურელმა, III თანრიგის ნორმატივი — 1039 კაცმა (თვითვალდებულებით 389 მესამეთანრიგოსნის მომზადება იყო გათვალისწინებული). მომზადდა 1296 მოზარდთა თანრიგოსანი, მშთ და იმშთ 2054 ნიშნოსანი, 829 საზოგადოებრივი ინსტრუქტორი, 280 მსაჯი. ბევრმა წვევამდელმა ჩააბარა ნორმატივები ნიშანზე „მზად ვარ სამშობლოს დასაცავად“.

რაიონის ფიზკულტურული ორგანიზაციები პირობას დებენ წლის ბოლომდე კიდევ გაზარდონ ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა რიცხვი.

ვ. ნუცუბიძე,
რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარე.

## „ტაზმა“ თავს ვერ უშველა

საქართველოს ტყვიის მსროლელთა პირად-გუნდური ჩემპიონატის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ნებისმიერი შაშხანით მცირე სტანდარტზე (3×20) სროლაში ახალი რესპუბლიკური რეკორდით აღინიშნა: პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა, სპორტის ოსტატმა ე. აბაჯიანმა 2 ქულით გააუმჯობესა ა. სტროევის მიერ 4 წლის წინ დამყარებული მიღწევა — 574 ქულა. II ადგილზე გავიდა სპორტის დამსახურებული ოსტატი შ. ქველიაშვილი (თბილისი) — 571, III — ქუთაისელი სპორტის ოსტატი ვ. ახალაძე—566. აღსანიშნავია, რომ წოლელა ყველაზე უკეთ ქველიაშვილი ისროდა — 200 შესაძლებლიდან მან მხოლოდ 2 ქულა დაკარგა, მაგრამ შემდეგ ხელიდან გაუშვა მონაპოვარი. გუნდურ ჩათვლაში პირველობა თბილისელებმა (ქველიაშვილი, აბაჯიანი, ლ. ოსტრიკოვი, ვ. პანკოვი) მოიპოვეს — 2262 ქულა დააგროვეს.

„გაქცეულ ტახზე“ ასპარეზობის მონაწილე 50 მეტრიდან ესვრის სამიზნეს, რომელიც 10 მეტრს 5 წამში „გარბის“. ვარჯიშის მეორე ნახევარში სისწრაფე ორმაგად იზრდება, რაც, რა თქმა უნდა, სპორტსმენის ამოცანას ართულებს. 5-წამიან სერიებში ყველას აჯობა თბილისელმა სპორტის ოსტატმა ს. ქუსიკაშვილმა. მომდევნო ადგილებზე იყვნენ მისი თანაგუნდელები, საერთაშორისო კლასის ოსტატი გ. თავდიდიშვილი და სპორტის ოსტატი გ. ბექთაშევი. მეორე სერიაში ბექთაშევმა იმარჯვა, რამაც მას საშუალება მისცა საერთო ჯამში 311 ქულა მოეგროვებინა და რესპუბლიკის ჩემპიონის სახელი დაესაკუთრებინა. II პრიზიორი გახდა თავდიდიშვილი — 305, III ადგილზე გავიდა ქუსიკაშვილი — 303. გუნდურ ჩათვლაში რესპუბლიკის ჩემპიონობა მოიპოვა თბილისის კვარტეტმა (ბექთაშევი, თავდიდიშვილი, ქუსიკაშვილი, თ. ლეკიშვილი), რომელმაც 1212 ქულა დააგროვა და 315 ქულით აჯობა მეორე პრიზიორს — აფხაზეთის კოლექტივს.

მცირეკალიბრიანი პისტოლეტით შეჯიბრებაში (30+30) 10 გასროლის შემდეგ გ. სალუქვაძესა და მ. ჟამურაშვილს (ორივე — თბილისი) 94-94 ქულა ჰქონდათ. თანაგუნდელი, სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი, სპორტის ოსტატი მ. პაპავა მათ 2 ქულით ჩამორჩებოდა. მეორე 10 გასროლამ ჟამურაშვილი დააწინაურა. ამ უკანასკნელმა 100-დან 8 ქულა დაკარგა, სალუქვაძემ 2 ქულით მეტი. სამაგიეროდ, სალუქვაძეს პაპავა წამოეწია. მესამე 10 გასროლას ლიდერთა მდგომარეობა არ შეუცვლია. ამჯერად ჟამურაშვილმა 96 ქულა მოაგროვა, გ. სალუქვაძემ — 95, პაპავამ კი 94 ქულა, მაგრამ ეს იყო ჟამურაშვილის ბოლო წარმატება. მეორე 30 გასროლაში იგი ცუდად გამოვიდა, საბოლოოდ 545 ქულა მოაგროვა და IV ადგილს დასჯერდა. ჩემპიონი გახდა პაპავა — 556, სალუქვაძემ დაიკავა II ადგილი — 554. III იყო ქუთაისელი სპორტის ოსტატი ხ. კვანტალიანი — 547. გუნდურ შეჯიბრებაში ყველას თბილისელებმა აჯობეს: პაპავამ, სალუქვაძემ, ჟამურაშვილმა და ო. კვირიკაშვილმა 2195 ქულა დააგროვეს.

თ. ლეკიშვილი,
სპორტის ოსტატი.



სურათზე: ე. აბაჯიანი ცეცხლის ხაზზე გასვლის წინ.
ფოტო ავტორისა.





## უჩვეული ოსტატები

ამბობენ, რომ პინგვინები ძალიან ჰგვანან ადამიანს. ნორვეგიული ჟურნალი „აქტუელი“ გვიამბობს ანტარქტიდის მხიარულ ბინადარზე, რომელსაც სახელად როლი ჰქვია. მცირე ხნის ვარჯიშის შემდეგ იგი შესანიშნავად სრიალებს გორგოლაჭებიანი ციგურებით. მოედანზე ერთ წრეს რომ შემოუვლის, როლი გამოცდილი ცირკის მსახიობივით გაჩერდება და მადლობას უხდის... არარსებულ მაყურებელს.

* * *

პინგვინისგან განსხვავებით, ახალგაზრდა სპილო ჯული „მაყურებლისთვის“ არ ირჯება. იგი ჯანმრთელობის განმტკიცებისთვის სრიალებს... წყლის თხილამურებით. როცა ჯული უშველებელ პლასტიკატის თხილამურებს მოიხსნის და ტბის ნაპირზე გამოდის, პატრონები მას თივით უმასპინძლდებიან. სპილო აშკარა კმაყოფილებით, გემრიელად მიირთმევს თავის ულუფას.

მიუხედავად ამისა, ცხოველთა დაცვის ადგილობრივი საზოგადოების ლიდერები წყლის ამგვარი პროცედურების წინააღმდეგნი არიან: „სპილოს ხომ ისე ეშინია, რომ ყვირის კიდეც!“ ამაზე ჯულის პატრონებმა მშვიდად უპასუხეს: არა, ეს სიხარულის ყვირილიაო.

## №1 — ჯაიჩი

დ. ჯაიჩი 23 წლისაა, მაგრამ უკვე ითვლება ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს ფეხბურთელად. იგი იუგოსლავიის ნაკრების კაპიტანია, თავისი ქვეყნის № 1 ფეხბურთელი, 31-ჯერ ითამაშა ნაკრებში მარცხენა ფრთაზე და 10 გოლი გაიტანა. ჯაიჩი ამას წინათ მსოფლიოს ნაკრებშიც გამოვიდა ბრაზილიელთა წინააღმდეგ და კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ამას წინათ მას ესაუბრა იუგოსლავიის „ფუტბალის“ კორესპონდენტი.

● **რა ასაკიდან თამაშობთ ფეხბურთს?**

— რაც ჩემი თავი მახსოვს.

● **გულახდილად გვითხარით, ვინ მიგაჩნიათ დღეისთვის უძლიერეს მარცხენა გარემარბად ევროპაში?**

— პორტუგალიელი სიმოესი. იგი მეტისმეტად სწრაფია და ასეთ სისწრაფეში შესანიშნავად უწევს კონტროლს ბურთს.

● **თქვენ?**

— ჩემს თამაშში ჯერ კიდევ ვხედავ ნაკლოვანებებს.

● **რატომ დაგატოვებინეს მოედანი ბელგიისა და იუგოსლავიის ნაკრები გუნდების შეხვედრის დროს. მართლა კრივის ილეთები გამოიყენეთ?**

— მოთმინებიდან გამოვედი და კარგად არც მახსოვს, რა დავაშავე. ჩემი გუნდი ძალზე უკმაყოფილო იყო მსაჯით, მისი თანაშემწეების მიმართ კი არა გვაქვს რაიმე პრეტენზია.

● **თქვენი მიზანი?**

— ისე ვითამაშო, რომ კვლავ მიმიწვიონ მსოფლიოს ნაკრებში.

● **იუგოსლავიის ნაკრების ძლიერი და სუსტი მხარეები?**

— შინ კარგად ვთამაშობთ, გასვლაზე კი ბევრად უარესად.

● **რა გიტაცებთ?**

— სპორტის გარდა მიყვარს მსუბუქი მუსიკა და კინოხელოვნება.

● **თქვენი საყვარელი მსახიობი?**

— ფრენკ სინატრა.

● **მეუღლე გყავთ?**

— ჯერ არა. დუბროვნიკში გავიცანი ქალიშვილი ივანა პუჰიეროვა. მან მოიგო სილამაზის შეჯიბრება — „მის იუგოსლავია 1968“. ჩვენი ქორწინების ვადა ჯერ არ დაგვიდგენია.

## ირანელი ფეხბურთელები თბილისში

თბილისში ჩამოვიდა თეირანის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი, რომელიც 21 ნოემბერს აქ ამხანაგურ საერთაშორისო მატჩს ჩაატარებს თბილისის „დინამოსთან“.

თბილისში ჩამოსვლამდე ირანელი ფეხბურთელები 18 ნოემბერს ბაქოში შეხვდნენ ადგილობრივ „ნეფტჩის“. თამაში მოიგეს ბაქოელებმა ანგარიშით 2:1.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. ( ) 8( უე 12051